შპს „პონტიკა“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. №183/185
ტელ.: +995599109840
Email: LLC.pontica@gmail.com

სსტ ისო/იეკ 17020:1012/2013
GAC-IB-0306

ქალაქ თბილისში, იაკობ ცურტაველის ქუჩა № 21-ში, № 01.18.04.014.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობის მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობის და საპროექტო შენობის მშენებლობის მათზე ზეგავლენის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ TC 6709/17.10.2025

(№ TC 6522/02.09.2025-ის კორექტირება)

მომსახურების სფერო: ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 25.07.2025

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 02.09.2025

კორექტირების თარიღი: 16.09.2025-17.10.2025

დამკვეთი: ფიზიკური პირი მიხეილ ჟღენტი (პ/ნ 65002003119)

საფუძველი: ხელშეკრულება №1405/07-25; განაცხადი

კორექტირების მიზეზი:

ჩვენს მიერ 2025 წლის 16 სექტემბერს გაცემული № PC-m/16.09.2025 შუალედური ინსპექტირების ანგარიშის შენიშვნების პ 3-ის საფუძველზე, გეოლოგიურ ანგარიშში ფენა1-ის მახასიათებლების დადგენა.

შემსრულებელი ექსპერტები და შემსრულებლების კვალიფიკაცია:

მურმან გეგია. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 49 წლის სტაჟით.

სპეციალისტების წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქ თბილისში, იაკობ ცურტაველის ქუჩა, № 21 -ში, № 01.18.04.014.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობის მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობის და საპროექტო შენობის მშენებლობის მათზე ზეგავლენის შეფასება.

წარმოდგენილი მასალები:

1. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ნაწილი. პროექტის მთავარი ინჟინერი რ. სილაგაძე. 2025 წ;
2. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ანგარიში. შემსრულებელი რ. სილაგაძე. 2025წ;
3. „ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21; ს.კ. 01.18.04.014.012; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის გამოყოფილი უბნების საინჟინრო გეოლოგიური პირობები. შემსრულებელი - ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიანი“; ინჟინერ გეოლოგი - ზ. დევდარიანი, 2025 წ;
4. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი სახოვრებელი სახლი. ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, საკ. კოდი 01.18.04.014.012 არქიტექტურული პროექტი - გეგმები, ჭრილები; ფასადები; მთავარი არქიტექტორი - მ. ჟღენტი;
5. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, საკ. კოდი 01.18.04.014.012. გენ-გეგმა. მთავარი არქტექტორი - მ. ჟღენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – „ სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09);
- ✓ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი.და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №71 (2014 წლის 15 იანვარი) საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტიკცების შესახებ;
- ✓ 2017 წლის 6 თებერვლის, საქართველოს მთავრობის დადგენილება N63-ში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება N41 „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები;
- ✓ СНиП II-22-81* “Каменные и Армокаменные Конструкций”. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები);
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08);
- ✓ СП 13-102-2003 „ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”;
- ✓ PNT/IB/IP-7.1-24-06-A22 ინსპექტირების პროცედურა.

გამოკვლევა

დავალების თანახმად ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში იაკობ ცურტაველის ქუჩა № 21, მოქალაქეების: ელენე შაქაროვის, P/N 01015009504 და რიმა შაქაროვის, P/N 01015010459 კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით № 01.19.36.014.004 დაპროექტებული მრავალბინიანი სახოვრებელი სახლის შენობის მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობა საპროექტო შენობის მშენებლობის დროს მათზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით. საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით (წარმოდგენილი მასალების სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი).

1. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ნაწილი. პროექტის მთავარი ინჟინერი რ. სილაგაძე. 2025 წ;
2. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ანგარიში. შემსრულებელი რ. სილაგაძე. 2025წ;
3. „ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21; ს.კ. 01.18.04.014.012; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის გამოყოფილი უბნების საინჟინრო გეოლოგიური პირობები. შემსრულებელი - ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიანი“; ინჟინერ გეოლოგი - ზ. დევდარიანი, 2025 წ;
4. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი სახოვრებელი სახლი. ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, საკ. კოდი 01.18.04.014.012 არქიტექტურული პროექტი - გეგმები, ჭრილები; ფასადები; მთავარი არქტექტორი - მ. ჟღენტი;
5. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, საკ. კოდი 01.18.04.014.012. გენ-გეგმა. მთავარი არქტექტორი - მ. ჟღენტი.

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობა ხუთსართულიანია, მათ შორის მანსარის და ერთი მიწისქვეშა სართულით. გეგმაში, ±0.000 ნიშნულის დონეზე, რთული ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით (ღერძებში) 24.73X17.56 მ. მიწისქვეშა და მიწისზედა სართულების სიმაღლეა 3.30 მ, მანსარდს სართულის სიმაღლე ცვალებადია. შენობის მაქსიმალური სიმაღლე პირობითი ნიშნულიდან ±0.000 – 13,20 მ-ია, ხოლო შენობის კონსტრუქციული სიმაღლე - 17.10 მ. სართულებს შორის კომუნიკაცია

განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის ორმარშიანი კიბით და სამგზავრო ლიფტით. პირობით ნიშნულად ±0.000 მიღებულია პირველი სართულის იატაკის დონე, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 426.37 ტოპოგეგმის მიხედვით. შენობა ხელოვნურ ფუძეზე - 100 სმ სისქის ბალასტს ფენაზე დაფუძნებულია 50 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის საშუალებით, რომლის ძირი ჩაღრმავებულია პირობითი ±0.000 ნიშნულიდან 3.90 მ-ით, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 422.47 ტოპოგეგმის მიხედვით. ქვაბულის სიღრმე ცვალებადა დაცვლება 8.0 მ-დან 3.0 მ-მდე. შენობის საძირკვლის ფილის ნაპირი საკადასტრო წითელი ხაზებიდან დაშორებულია: ჩრდილოეთით 1-2 ღერძებში 371 სმ-ით; შემდეგ 6 ღერძის მიმართულებით-ზრდადი 220 სმ-დან; აღმოსავლეთით - 630 სმ; სამხრეთით 1*-2* ღერძებში - 60 სმ; შემდეგ 5 ღერძის მიმართულებით - 470 სმ. დასავლეთით - 1* ღერძის პარალელურად - 70 სმ; 1 ღერძის პარალელურად - 85 სმ.

პროექტის მიხედვით, შენობა განთავსებულია მცირექანობიან რელიეფზე, ქანობით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის მიხედვით, უბანზე გამოყოფილია ორი ფენა:

ფენა 1 - ნაყარი გრუნტი და თიხნარის ფენა - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე, სიმძლავრე - 7.0-8.0 მ. წარმოდგენილია კოშტოვანი სტრუქტურის თიხნარით, ბალახეული მცენარეების ფესვების ჩანართებით. ფენა არ დასინჯულა. სიმკვრივე ρ საფონდო მასალების მიხედვით 1.75 ტ/მ³. ფენა უწყლოა.

ფენა 2 – I ს.გ.ე. - გამოფიტული ქვიშაქვები და არგილიტები. გავრელებლია დასინჯულ 15.0 მ სიღრმემდე. ფენების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

	I ფენა	II ფენა
სიმკვრივე	ρ=1.68 გ/სმ³	ρ=2.41 გ/სმ³
შიგა ხახუნის კუთხე	φ=17.0⁰	φ=25.5⁰
ხვედრითი შეჭიდულობა	C=2.8კპა	C=5.3კპა
დეფორმაციის მოდული	E=170 მპა	E=4539.9 მპა
პირობითი საანგარიშო წინაღობა R₀-კპა(კგძ/სმ²)	180 (1.8)	—

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წალგაჯერებულ მდგომარეობაში	—	R_{cn}=19.5 მპა (195კგძ/სმ²)
საგების კოეფიციენტი K-კგ/სმ³	2.0	10.0
პუასონის კოეფიციენტი	μ=0.35	μ=0.28

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, უბანზე ამჟამად არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ ფიქსირდება.

მშენებლობის რაიონი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“-ს საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A= 0,17.

რეგლამენტის „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5)-ს მიხედვით, მშენებლობის რაიონში თოვლის საფარის წონის ნორმატიული მნიშვნელობაა 50 კგძ/მ², ქარის წნევის ნორმატიულ მნიშვნელობა- 85 კგძ/მ² (15 წელიწადში ერთხელ განმეორებადობით).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მუხლი 6, პუნქტი 9 - ს შესაბამისად, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საპროექტო სამშენებლო მოედნის 10 მ-იან რადიუსში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. შესასწავლ ზონაში საპროექტო შენობას ესაზღვრება:

ჩრდილოეთიდან - საზოგადოებრივი სივრცე - იაკობ ცურტაველის ქუჩა და მის გასწვრივ მოპირდაპირე მხარეს განლაგებული მიწის ნაკვეთები: ა) მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.18.04.013.003. სარეგისტრაციო პროგრამაში ამ ნაკვეთზე დოკუმენტები არ მოიძებნა. ამჟამად ნაკვეთზე განთავსებულია ოთხი შენობა-ნაგებობა. მათგან საპროექტო ტერიტორიის წითელ ხაზთან უფრო ახლოს არიან შენობები 2(1), 5(1) და 4/1. შენობა 2(1) საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან დაშორებულია 7.0 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობის კონტურიდან 11.0 მ-ით. შენობა აშენებულია გასული საუკუნის დასაწყისში, ერთსართულიანია, სარდაფის გარეშე, შუშაბანდთ. მზიდი კედლები წითელი აგურის და ქვის წყობითაა შესრულებული. გადახურვა და სახურავი შესრულებულია ხის კონსტრუქციებით. ბურული მოწყობილია თუნუქის ფურცლებით. შენობაზე ბზარები და სხვა სახის დეფორმაციები არ აღინიშნება. შენობა 5(1) საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან დაშორებულია 5.5 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობის კონტურიდან 9.5 მ-ით. შენობა

ერთსართულიანია, აგურის წყობის კედლებით. სახურავი ერთქანობიანია, ხის კონსტრუქციებით, აზბოცემენტის დაღარული ფილების ბურულით. შენობა ძლიერაა დაზიანებული და ექსპლუატაციაში არ არის. ნაგებობა 4(1) შედგება რამდენიმე ერთსართულიანი შენობისაგან. მათგან საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან ყველაზე ახლოს მდებარე მისგან დაშორებულია 5.5 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობის კონტურიდან 9.5 მ-ით. შენობა ერთსართულიანია, აგურის წყობის კედლებით. შენობა ნახევრად დანგრეულია. მისი ცურტაველის ქუჩაზე მდებარე კედელი მთელია. შელესვა თითქმის მთლიანად ჩამოცვენილია. შენობების საპროექტო შენობის კონტურიდან დიდი მანძილით დაშორების და იმ გარემოების გამო, რომ საპროექტო შენობის საძირკველი უფრო ღრმად არის განლაგებული, ის გავლენას არ მოახდენს სკ N 01.18.04.013.003 მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობებზე.

ბ) დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთზე ცურტაველის ქუჩის სიახლოვეს შენობა-ნაგებობები არ არის განთავსებული.

გ) თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.18.04.013.052, განცხადების რეგისტრაციის ნომერი N 882017430558 – 23/05/2017 (ქალაქი თბილისი, ცურტაველის ქუჩა N27), მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით. მათ შორის საპროექტო ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს არიან შენობები 01(1) და 02(1) (26/05/2016 მომზადებული საკადასტრო გეგმის მიხედვით). შენობა 01(1) აშენებულია გასული საუკუნის დასაწისში, აგურის მზიდკედლებიანი ერთსართულიანი შენობაა. შენობა ახლო წარსულში შეკეთებულია. ეზოს მხარეს აქვს მიშენებები ძირითადად სამშენებლო ბლოკის წყობით. დახურულია ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი თუნუქის ფურცლების ბურულით. შენობის ფასადზე აღინიშნება მცირე ზომის ვერტიკალური ბზარი, რომელიც ექსპუატაციისთვის საშიში არ არის. სხვა ბზარები და დეფორმაციები შენობას არ აღენიშნება. შენობა 01(1) საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან დაშორებულია 7.5 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობის კონტურიდან 12.5 მ-ით. შენობა 02(1) (საკადასტრო გეგმის მიხედვით) აშენებულია 2000-იან წლებში, ორსართულიანია, სახურავზე ტერასით. შენობა კარკასული ტიპისაა, სამშენებლო ბლოკის წყობით შევსებული კარკასით. შენობაზე ბზარები და სხვა სახის დეფორმაციები არ აღინიშნება. განხილული შენობების საპროექტო შენობის კონტურიდან დიდი მანძილით დაშორების და იმ გარემოების გამო, რომ საპროექტო შენობის საძირკველი

უფრო ღრმად არის განლაგებული, ის გავლენას არ მოახდენს სკ N 01.18.04.013.052 მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობებზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან - თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.18.04.014.001, განცხადების რეგისტრაციის ნომერი N 88200919838 – 02/07/2009 (ქალაქი თბლისი, ხუციშვილის ქუჩა, N23) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები აშენებულია გასული საუკუნის დასაწყისში. შენობა 1 (შენობების ნომრები მითითებლია საკადასტრო გეგმის მიხედვით) ერთსართულიანი აგურის და ქვის წყობის კედლებიანი შენობაა ხის აივნით. დიდი ხნით მოუვლელობის გამო შენობასთან ახლოს მისვლა შეუძლებელია. როგორც ფოტოზე ჩანს, შენობა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარია. შენობა 3 0.7 მ სიმაღლის ცოკოლის მქონე ერთსართულიანი შენობაა. კედლები აგურის წყობითაა შესრულებული. სასხვენო გადახურვა და სახურავი მოწყობილია ხის კონსტრუქციებით. ბურული კრამიტისაა. შენობაში შიდა კედლებზე რამდენიმე ადგილზე დავაფიქსირეთ მცირე ზომის ბზარები, რომლებიც ექსპლუატაციისთვის საშიში არ არიან. შენობები 2 და 4 ერთსართულიანი აგურის კედლებიანი შენობებია. შენობა 4 ავარიულ მდგომარეობაშია. შენობა 5 ერთსართულიანი აგურის და ქვის წყობის კედლებიანი ნაგებობაა, სარდაფის გარეშე. კედლებს სიმაღლე 3.5 მ-ია. სასხვენო გადახურვა და სახურავი მოწყობილია ხის კონსტრუქციებით თუნუქის ფურცლების ბურულით. შენობას ბზარები და სხვა სახის დეფორმაციები არ აღენიშნება. შენობა 6 ზომებით 1.5X1.5მ, ეზოს ტუალეტია, რომელიც მიშენებულია აგურის წყობის ღობის კედელზე. განხილული მიწის ნაკვეთი საპროექტო მიწის ნაკვეთისგან გამიჯნულია, სიგრძის ნახევარზე, ბეტონის 40სმ სისქის, ხოლო მეორე ნახევარზე აგურის წყობის კედლით, სიმაღლით საშუალოდ 2.0 მ. ნაკვეთზე მდებარე შენობებიდან საპროექტო ტერიტორიის წითელ ხაზთან ყველაზე ახლოს არიან შენობები 4 და 5, შესაბამისად 4.5 მ და 2. 0 მ, ხოლო საპროექტო შენობის კონტურთან 7.7 მ და 6.0 მ. განხილული შენობების საპროექტო შენობის კონტურიდან დიდი მანძილით დაშორების და იმ გარემოების გამო, რომ საპროექტო შენობის საძირკველი უფრო ღრმად არის განლაგებული, საპროექტო შენობა გავლენას არ მოახდენს სკ N 01.18.04.014.001 მიწის ნაკვეთზე განლაგებულ შენობებზე. საპროექტო შენობის ქვაბული 1*-2* ღერძებს შორის მონაკვეთში და მიმდებარედ დიდი ჩაღრმავებისაა, ხოლო ქვაბულის ძირის დაშორება წითელი ხაზიდან მცირეა. ამის გამო ქვაბულის ფერდის მოწყობა ნორმებით მოთხოვნილი

დახრით ვერ მოხერხდება. სკ N 01.18.04.014.001 მიწის ნაკვეთის დაზიანებსგან დასაცავად და ქვაბულის ფერდის მდგრადობის უზრუნველაყოფად საჭიროა ქვაბულის კედლის წინასწარ გამაგრება. კონსტრუქტორს ამ გარემოების გათვალისწინებით დაპროექტებული აქვს ამ უბანზე ქვაბულის კედლების გამაგრება ლარსენის შპუნტებით.

სამხრეთ-დასავლეთიდან - საზოგადოებრივი სივრე - მუხათის შესახვევი და მის გასწვრივ მოპირდაპირე მხარეს განთავსებული, მოქალაქე მარიამ კაზაროვას P/N: 01025022354) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.18.04.014.014, განცხადების რეგისტრაციის ნომერი N882011420415 – 30/08/2011 (ქალაქი თბილისი, მუხათის შესახვევი,N5), მასზე განთავსებული ერთი შენობით შენობა აშენებულია 2000-იან წლებში, სამსართულიანია, კარკასული ტიპის, კარკასი შევსებულია სამშენებლო ბლოკის წყობით. შენობის მზიდ ელემენტებს ბზარები და სხვა სახის დეფორმაციები არ აღენიშნებათ. შენობა საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან დაშორებულია 9.5 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობის კონტურიდან 10.5 მ-ით. განხილული შენობის საპროექტო შენობის კონტურიდან დიდი მანძილით დაშორების გამო საპროექტო შენობა გავლენას არ მოახდენს სკ N 01.18.04.014.014 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაზე.

დასავლეთიდან - ა) მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.18.04.014.020. სარეგისტრაციო პროგრამაში ამ ნაკვეთზე დოკუმენტები არ მოიძებნა. ამჟამად ნაკვეთზე განთავსებულია ერთი შენობა. მესაკუთრის ადგილზე არყოფნის გამო ეზოში შესვლა ვერ შევძელით. ეზოს გარედან შეფასებით, შენობა ერთსართულიანია, კარკასული ტიპის. აშენებულია 2000-იან წლებში. შენობა საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან დაშორებულია 2.7 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობის კონტურიდან 3.5 მ-ით. განხილულ მიწის ნაკვეთსა და საპროექტო მიწის ნაკვეთს შორს მდებარეობს დაურეგისტრირებელი 1.1 მ სიგანის მიწის ნაკვეთის ზოლი. ბ) მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 01.18.04.014.019. სარეგისტრაციო პროგრამაში ამ ნაკვეთზე დოკუმენტები არ მოიძებნა. ამჟამად ნაკვეთზე განთავსებულია სამსართულიანი შენობა სარდაფის გარეშე. შენობა აშენებულია 2000-იან წლებში. კარკასული ტიპისაა. შენობის მზიდ ელემენტებს გარედან ბზარები და სხვა სახის დეფორმაციები არ აღენიშნებათ. შენობა საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან დაშორებულია 9.0 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობის კონტურიდან 9.8 მ-ით. განხილულ მიწის ნაკვეთსა და საპროექტო მიწის ნაკვეთს შორს მდებარეობს დაურეგისტრირებელი ტრაპეციის ფორმის მიწის ნაკვეთი საშუალო სიგანით 3.5 მ. საპროექტო შენობის საძირკველი

ზემოთ განხილული ორივე შენობის საძირკვლებზე დაბლა მდებარეობს, ამიტომ ამ შენობებზე გავლენა არ ექნება. საპროექტო შენობის ქვაბულის ძირი, საპროექტო ტერიტორიისა და სკ N 01.18.04.014.020; სკ N 01.18.04.014.019 მიწის ნაკვეთების გამმიჯნავი წითელი საკადასტრო ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 0.80 მ-ით, ხოლო ქვაბულის სიღრმე არის 8.0 მ. მიმდებარე ტერიტორიის და მათზე განლაგებული შენობების დაზიანებისაგან დასაცავად საჭიროა ქვაბულის ფერდის წინასწარი გამაგრება. ქვაბულის წინასწარი გამაგრება კონსტრუქტორის მიერ პროექტში გათვალისწინებულია ლარსენის შპუნტების მოწყობით.

პროექტის შესწავლის და ადგილზე სიტუაციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტს ქვაბულის მოწყობის მიმართ ქონდა შემდეგი შენიშვნები:

1. საჭიროა დეტალურად დამუშავდეს ლარსენის შპუნტების მოწყობა: შპუნტის ტიპის და კვეთის შერჩევა; გეგმაში განლაგება СНиП 3.02.01 87 პ.3.2 - ის დაცვით; გრუნტში ჩაანკერების სიღრმე და სხვა; წითელ ხაზსა და საძირკვლის ფილას შორის მანძილის სიმცირის შემთხვევაში, საჭირო კორექტივების შეტანა;

2. ჩვენი აზრით, ე ღერძის და 1 ღერძის პარალელურად მოწყობილი ლარსენის შპუნტები უნდა გაგრძელდეს საძირკვლის ფილის ნაპირის შემდეგ დაახლოებით 3.0 მ მანძილზე;

3. ცურტაველის ქუჩის გასწვრივ, წითელი ხაზის შეჭრის წერტილიდან (2-3 ღერძებს შორის) 6 ღერძის მიმართულებით, დაახლოებით 4.0-5.0 მ მანძილზე, ქვაბულის ფერდის СНиП III-4-80 პ 9.10-ის და СНиП 3.02.01 87 პ.3.2 - ის მოთხოვნების დაცვით შესრულებისთვის მანძილი ქვაბულის ძირსა და საძირკვლის ფილის ნაპირს შორის არასაკმარისია, ამიტომ საჭირო იქნება შესაბამისი ღონისძიების გატარება.

პროექტის ავტორმა წარმოადგინა ჩვენ მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი, სადაც ყველა შენიშვნა სრულად არის გათვალსწინებული.

ინსპექტორი: /მურმან გეგია/

№ ТС 6709/17.10.2025 *გვ. 9 –20 დან*

დასკვნა

ქალაქ თბილისში იაკობ ცურტაველის ქუჩა № 21, მოქალაქეების: ელენე შაქაროვის, P/N 01015009504 და რიმა შაქაროვის, P/N 01015010459 კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით № 01.19.36.014.004 დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობის მშენებლობა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენას არ მოახდენს მშენებლობის დროს და შემდგომი ექსპლუატაციის პირობებშიც. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით შესრულების შემთხვევაში, ქვაბულის ფერდების მდგრადობა და მომიჯნავე მიწის ნაკვეთები, ასევე საზოგადოებრივი სივრცე - ცურტაველის ქუჩა, დაზიანებისგან დაცული იქნება.

ჩვენი რეკომენდაციაა, დამკვეთისა და სადემონტაჟო სამუშაოების მწარმოებელი სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ, სამუშაოების დაწყებამდე დათვალიერებულ და გადაღების თარიღის მითითებით ფოტო ან ვიდეომასალაზე დაფიქსირებულ იქნას საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელი ხაზიდან 10 მ. რადიუსში არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებისწინა დროინდელი მდგომარეობა, დაზიანებული კონსტრუქციული ელემენტებისა და ბზარების დაფიქსირებით, რათა გამოირიცხოს უთანხმოება საპროექტო ტერტორიის მესაკუთრეებსა და სამეზობლო მიჯნაზე ან საკადასტრო წითელი ხაზიდან 10მ-ის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებს შორის.

ინსპექტორი: /მურმან გეგია/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/


ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ირაკლი მორჩილაძე/

№ TC 6709/17.10.2025 *გვ. 10 –20 დან*

კვლევის ამსახველი ფოტომასალა




საპროექტო მიწის ნაკვეთი სკ N01.18.04.014.012



სადემონტაჟო შენობა მიწის ნაკვეთზე სკ N 01.18.04.014.012



მიწის ნაკვეთი სკ N01.18.04.014.012. ღობის ფრაგმენტი



ცურტაველის ქუჩა




მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.003 შენობები 5 და 6 ქუჩიდან



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.003 შენობა 2




მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.003 შენობა 4



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.003 შენობა 5



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.052 შენობა 1



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.052 შენობა 1. ბზარი ფასადის კედელზე



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.052 შენობა 1. ხედი ეზოდან



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.013.052 შენობა 2



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.014.001 შენობა 1






მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.014.001 შენობა 1 ზღარი შიდა კედელზე



მიწის ნაკვეთი სკ N 01.18.04.014.001 შენობა 5



შენობა მიწის ნაკვეთზე სკ N 01.18.04.014.014



ერთსართულიანი შენობა (სიღრმეში) მიწის ნაკვეთიზე სკ N 01.18.04.014.020



შენობა მიწის ნაკვეთზე სკ N 01.18.04.014.019

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია 17 იანვარი 2023 წელი

ძალაშია 17 იანვარი 2027 წელი

გენერალური დირექტორი

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0306
განკარგულება №06/270
თარიღი: 27.12.2022 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

სფეროს აქტუალიზაცია
განკარგულება №01/88
თარიღი: 12.09.2023 წ.

A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „პონტიკა“

მისამართი: ქ. თბილისი,შ. ნუცუბიძის №183/185;

N	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A19 ინსპექტირების პროცედურა
2.	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A21 ინსპექტირების პროცედურა.

3.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 7. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.
4.	ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების: • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების; - -შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;) 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 8. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 9. ისო/იეკ 11801-2017 10. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.

5.	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე) სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის პროექტთან შესაბამისობის დადგენა.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 7. .ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება N 354 „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 11. PNT/IB/IP-7.1-22-04-A23 ინსპექტირების პროცედურა;
6.	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A45 ინსპექტირების პროცედურა

7.	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A49 ინსპექტირების პროცედურა.
8.	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A44 ინსპექტირების პროცედურა
9.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები-(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ"

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
10.	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ისო/იეკ 11801-2017; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
11.	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A47 ინსპექტირების პროცედურა
12.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A53 ინსპექტირების პროცედურა

შპს „პონტიკა“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. №183/185
ტელ.: +995599109840
Email: LLC.pontica@gmail.com

სსტ ისო/იეკ 17020:1012/2013
GAC-IB-0306

ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა №21-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.18.04.014.012, დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (ფუძეების, საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის

შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ PC 6708/17.10.2025

მომსახურების სფერო: პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 25.07.2025

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 17.10.2025

დამკვეთი: ფიზიკური პირი მიხეილ ჟღენტი (პ/ნ 65002003119)

საფუძველი: ხელშეკრულება №1405/07-25; განაცხადი

შემსრულებელი ექსპერტები და შემსრულებლების კვალიფიკაცია:

მურმან გეგია. უმაღლესი განათლებით ინჟინერ–მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 49 წლის სტაჟით.

სპეციალისტების წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა №21-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.18.04.014.012, დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ფუძეების, საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციების შეფასება.

წარმოდგენილი მასალები:

1. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, ს/კ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ნაწილი". პროექტის მთავარი ინჟინერი რ. სილაგაძე, შემსრულებელი დ. მაისურაძე. 2025 წ;
2. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ.თბილისი, იაკობ ცურტაველის ქ. N21 საკ. კოდი 01.18.04.014.012". არქიტექტურული პროექტი (გეგმები, ფასადები ჭრილები). მთ. არქიტექტორი მ. ჟღენტი;
3. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ.თბილისი, იაკობ ცურტაველის ქ. N21 საკ. კოდი 01.18.04.014.012". გენერალური გეგმა. მთ. არქიტექტორი მ. ჟღენტი 2025 წ;
4. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21; მრავალბინიანი სახოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ანგარიში. შემსრულებელი რ. სილაგაძე 2025 წ;
5. „ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21; ს.კ 01.18.04.014.012; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები". შესრულებულია ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიანი"-ს მიერ. ინჟინერ-გეოლოგი ზ. დევდარიანი. 2024 წ;
6. „ცურტაველი კონსტრუქცია AutoCAD".

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #71-ე დადგენილების, ტექნიკური რეგლამენტი _ „სეისმომედეგი მშენებლობა" (დანართი 3);
- ✓ ს. ნ. და წ. "სეისმომედეგი მშენებლობა" (Ენ 01.01-09);
- ✓ ს. ნ. და წ. "შენობების და ნაგებობების ფუძეები" (Ენ 02.01-09);
- ✓ ს. ნ. და წ. "ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები" (Ენ 03.01-09);
- ✓ ს. ნ. და წ. „დატვირთვები და ზემოქმედებები" (СНиП 2.01.07-85*);
- ✓ СНиП II-23-81* - ლითონის ვონსტრუქციები;
- ✓ ს. ნ. და წ – 7 – 81 „მშენებლობა სეისმურ რაიონებში";
- ✓ ს. ნ. და წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 „სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან";
- ✓ СП 63.13330.2018 "Бетонные и железобетонные конструкции. Основные положения". (წესების კრებული. ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები);
- ✓ PNT/IB/IP-7.1-24-06-A44 ინსპექტირების პროცედურები.

გამოკვლევა

დავალების თანახმად ექსპერტიზა ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, იაკობ ცურტაველის ქუჩა №21-ში, მოქალაქეების: ელენე შაქაროვის, P/N 01015009504 და რიმა შაქაროვის, P/N 01015010459 კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (სკ 01.18.04.014.012), დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ფუძეებს, საძირკვლებს და სხვა ძირითად კონსტრუქციებს. საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით (წარმოდგენილი მასალების სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

1. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21, ს/კ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქცული ნაწილი“. პროექტის მთავარი ინჟინერი რ. სილაგაძე, შემსრულებელი დ. მაისურაძე. 2025 წ;
2. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ.თბილისი, იაკობ ცურტაველის ქ. N21 საკ. კოდი 01.18.04.014.012“. არქტექტურული პროექტი (გეგმები, ფასადები ჭრილები). მთ. არქიტექტორი მ. ჟღენტი;
3. „დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქ.თბილისი, იაკობ ცურტაველის ქ. N21 საკ. კოდი 01.18.04.014.012“. გენერალური გეგმა. მთ. არქიტექტორი მ. ჟღენტი 2025 წ;
4. „ქ. თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21; მრავალბინიანი სახოვრებელი სახლის პროექტი. კონსტრუქციული ანგარიში. შემსრულებელი რ. სილაგაძე 2025 წ;
5. „ქალაქი თბილისი, იაკობ ცურტაველის ქუჩა N21; ს.კ 01.18.04.014.012; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნების საინჟინრო-გეოლოგიური პირობები“. შესრულებულია ინდივიდუალური მეწარმე „ზ. დევდარიანი“-ს მიერ. ინჟინერ-გეოლოგი ზ. დევდარიანი. 2024 წ;
6. „ ცურტაველი კონსტრუქცია AutoCAD“.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დეტალურად.

საექსპერტოდ წარმოდგენლი შენობა პროექტის მიხედვით ხუთსართულიანია, მათ შორის მანსარდით და ერთი სარდაფის სართულით. გეგმაში პირობითი ნიშნულის ±0.000 დონეზე რთული ფორმისაა. მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 24.73 X 17.56

მ. სარდაფის სართულის და მიწისზედა სართულების სიმაღლეა 3.30 მ, ხოლო მანსარდის სიმაღლე ცვალებადია. შენობის მაქსიმალური სიმაღლე პირობითი ნიშნულიდან ±0.000 13.20 მ-ია, კონსტრუქციული სიმაღლე - 17.10 მ. სართულებს შორის კომუნიკაცია განხორციელებულია მონოლითური რკინაბეტონის ერთი ორმარშიანი კიბით და ლიფტით. შენობას აქვს გარეთა სივრციდან სარდაფის სართულში ჩასავლელი ორი რკინაბეტონის კიბე. პირობით ნიშნულად ±0.000 მიღებულია პირველი სართულს იატაკის დონე, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 426.37 ტოპოგეგმის მიხედვით. სახურავი მრავალქანობიანია, ფოლადის ფურცლის ბურულით.

შენობა განთავსებულია მცირექანობიან რელიეფზე, ქანობით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის მიხედვით, უბანზე გამოყოფილია ორი ფენა:

ფენა 1 - ნაყარი გრუნტი და თიხნარის ფენა - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე, სიმძლავრე - 7.0-8.0 მ. წარმოდგენილია კოშტოვანი სტრუქტურის თიხნარით, ბალახეული მცენარეების ფესვების ჩანართებით. ფენა არ დასინჯულა. სიმკვრივე ρ საფონდო მასალების მიხედვით 1.75 ტ/მ^3. ფენა უწყლოა.

ფენა 2 – I ს.გ.ე. - გამოფიტული ქვიშაქვები და არგილიტები. გავრცელებლია დასინჯულ 15.0 მ სიღრმემდე. ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე	ρ=2.41 გ/სმ^3;
შიგა ხახუნის კუთხე	φ=25.5^0
ხვედრითი შეჭიდულობა	C=5.3კპა
დეფორმაციის მოდული	E=4539.9 მპა
სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე	
წალგაჯერებულ მდგომარეობაში	R_{cn}=19.5 მპა (195კგძ/სმ^2)
პუასონისკოეფიციენტი	μ=0.28

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი გამოკვლეულ 15.0 მ სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წლის არ არსებობით. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, უბანზე ამჟამად არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები არ ფიქსირდება.

მშენებლობის რაიონი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“-ს საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A= 0,17.

რეგლამენტის „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5)-ს მიხედვით, მშენებლობის რაიონში თოვლის საფარის წონის ნორმატიული მნიშვნელობაა 50 კგ/მ². ქარის წნევის ნორმატიულ მნიშვნელობაა 85 კგ/მ² (15 წელიწადში ერთხელ განმეორებადობით).

პროექტის მიხედვით შენობის კონსტრუქციული სქემა კარკასული სისტემაა. მისი მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის ანგარიში სტატიკურ და დინამიურ დატვირთვებზე შესრულებულია „LIRA-SAPR 2017“ პროგრამული კომპლექსის მეშვეობით სასრულ ელემენტთა მეთოდის საფუძველზე საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა საანგარიშო სივრცული მოდელი და პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ნახაზები. საანგარიშო მოდელში შემოწმებულ იქნა სტატიკურ და დინამიკური დატვირთვების სიდიდეები, თანწყობის კოეფიციენტები და დადგენილ იქნა მათი ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზის შედეგებია:

საკუთარი რხევის პერიოდები: T_1=0.44444 წმ; T_2=0.30274 წმ. T_3=0.23525 წმ.

რხევის ფორმების რაოდენობად აღებულია 23 ფორმა.

გადაადგილება სეისმური დატვირთვის ზეგავლენით: X ღერძის მიმართულებით - 0.145 მმ; Y ღერძის მიმართულებით - 1.04 მმ; Z ღერძის მიმართულებით - 5.6 მმ.

ანგარიშის შედეგები ნორმების ფარგლებშია.

შენობა მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით დაფუძნებულია ფენა 1 - ში, ნაყარ გრუნტზე მოწყობილ ხელოვნურ ფუძეზე - 1.0 მ სისქის ბალასტის ფენაზე. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებში, ინჟინერ-გეოლოგს ფენა 1-ში საძირკვლის მოწყობის შესაძლებლობა განხილული არ აქვს. კვლევის შედეგებში რეკომენდებულია ხიმინჯოვანი საძირკვლების მოწყობა. პროექტით საძირკვლის ფილა ±0.000 ნიშნულიდან ჩაღრმავებულია 3.90 მ -ით. საძირკვლის ფილის კვეთის სიმაღლეა 500 მმ. არმირებულია არმატურის ორმაგი ბადით Ø14B500B ბიჯით 200X200 მმ. შიდა სივრცეში სვეტებთან ფილა გამლიერებულია ბადეებით Ø14B500B ბიჯით 200X200 მმ. განივ არმატურად გამოყენებულია Ø8A240 არმატურა. სართულშუა მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილის სისქეა 200 მმ. ის

არმირებულია ორი ფენა არმატურის ბადით Ø12B500B, ბიჯით 200X200 მმ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საკიდებით Ø8A240 არმატურისგან, ბიჯით 400 მმ. მონოლითური რკინაბეტონის რიგელების (წიბოების) კვეთია 400X500(h) მმ, არმირებულია Ø18B500B კლასის გრძივი არმატურით. საკიდებში გამოყენებულია Ø8A240 კლასის არმატურა. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების კვეთებია: 400X400 მმ, არმირებულია Ø25B500B გრძივი და Ø8A240 კლასის განივი არმატურით. სარდაფის კედლების სისქე 300 მმ-ია, არმირებულია ორი ფენა არმატურის ბადით Ø12B500B, ბიჯით 200X200 მმ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საკიდებით Ø8A240 არმატურისგან, ბიჯით 400 მმ. მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმების სისქეებია 200 მმ და 300 მმ. არმირებულია ორი ფენა არმატურის ბადით Ø14B500B, ბიჯით 200X200 მმ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საკიდებით Ø8A240 არმატურისგან, მონოლითური ორმარშიანი რკინაბეტონის კიბის მარშის და ბაქანის ფილის სისქე 200 მმ-ია. არმირებულია ორი ფენა Ø12B500B არმატურის ბადით ბიჯით 200X200 მმ.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი. მომზადებაში - B15 კლასის.

წარმოდგენილი პროექტი გაკორექტირებული იქნა, ჩვენს მიერ 2025 წლის 16 სექტემბერს გაცემული № PC-m/16.09.2025 შუალედური ინსპექტირების ანგარიშის შესაბამისად, სადაც დაფიქსირებული იყო პროექტის მიმართ დაფიქსირებული შემდეგი შენიშვნები:

1. ფურცელი კ-3 – ნახაზზე „ქვაბულის გეგმა და ღერძების დაკვალვა; შპუნტების განლაგება“, შენობის ღერძები საკადასტრო წითელ ხაზებთან მიბმული არ არის;

2. ფურცლები კ-3; კ-3-1 - ა) საჭიროა დეტალურად დამუშავდეს ლარსენის შპუნტების მოწყობა: შპუნტის ტიპის და კვეთის შერჩევა; გეგმაში განლაგება СНиП 3.02.01 87 პ.3.2 - ის დაცვით; გრუნტში ჩაანკერების სიღრმე და სხვა; წითელ ხაზსა და საძირკვლის ფილას შორის მანძილის სიმცირის შემთხვევაში, საჭირო კორექტივების შეტანა; ბ) ჩვენი აზრით, ე ღერძის და 1 ღერძის პარალელურად მოწყობილი ლარსენის შპუნტები უნდა გაგრძელდეს საძირკვლის ფილის ნაპირის შემდეგ არანაკლები 3.0 მ მანძილზე; გ) ცურტაველის ქუჩის გასწვრივ, წითელი ხაზის შეჭრის წერტილიდან (2-3 ღერძებს შორის) 6 ღერძის მიმართულებით, დაახლოებით 4.0-5.0 მ მანძილზე, ქვაბულის ფერდის СНиП III-4-80 პ

9.10-ის და СНиП 3.02.01 87 პ.3.2 - ის მოთხოვნების დაცვით შესრულებისთვის მანძილი ქვაბულის ძირსა და საძირკვლის ფილის ნაპირს შორის არასაკმარისია, ამიტომ საჭირო იქნება შესაბამისი ღონისძიების გატარება;

3. ფურცლები კ-3-1; კ-4 - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის მიხედვით, საძირკვლის მოწყობა ფენა1 - ნაყარ გრუნტზე - დაუშვებელია. შენობის ქვეშ უნდა მოეწყოს ხიმინჯოვანი საძირკველი;

4. ფურცლებზე კ-23; კ-28 - ნახაზებზე ა-ბ / 1-3 ღერძებში დაფიქსირებულია ლითონის კონსტრუქციები, რომლებიც პროექტში არ არის დამუშავებული;

5. პროექტში არ არის დამუშავებული: **ა)** ლიფტის შახტის და კიბის უჯრედი N1-ის კედლები და გადახურვები; **ბ)** პარაპეტი;

6. პროექტში არ არის განხილული მანსარდის კონსტრუქციები;

7. კონსტრუქციული ანგარიშის რეპორტში დასამატებელია: განმარტებითი ბარათი; სიხისტეების ცხრილი; საძირკვლის ფილის ძირზე წნევის იზოველები;

8. კონსტრუქციული ანგარიშის რეპორტში იზოველებს არ აქვთ დასახელებები.

პროექტის ავტორმა წარმოადგინა შუალედურ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი. მასში ყველა შენიშვნა დამაკმაყოფილებლად არის გათვალისწინებული.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის მიმართ ექსპერტიზას შენიშვნა არ აქვს.

ინსპექტორი: /მურმან გეგია/

დასკვნა

ქალაქ თბილისში, იაკობ ცურტაველის ქუჩა №21-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.18.04.014.012, დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (ფუძეები, საძირკვლები და სხვა ძირითადი კონსტრუქციები) დამუშავებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: /მურმან გეგია/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ირაკლი მორჩილაძე/

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია 17 იანვარი 2023 წელი

ძალაშია 17 იანვარი 2027 წელი

გენერალური დირექტორი

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0306
განკარგულება №06/270
თარიღი: 27.12.2022 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

სფეროს აქტუალიზაცია
განკარგულება №01/88
თარიღი: 12.09.2023 წ.

A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „პონტიკა“

მისამართი: ქ. თბილისი,შ. ნუცუბიძის №183/185;

N	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A19 ინსპექტირების პროცედურა
2.	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A21 ინსპექტირების პროცედურა.

3.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 7. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.
